



დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მშენებლობა

Construction

ფაკულტეტი

სამშენებლო

Construction Faculty

პროგრამის ხელმძღვანელი

სრული პროფესორი ტარიელ კვიციანი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მშენებლობის დოქტორი
 (Doctor in Construction)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

180 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც მშენებლობაში შესაბამისი დარგების ლიდერები იქნებიან, რომლებსაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად შექმნან მშენებლობის ტექნოლოგიის ახალი მეთოდები, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი ცოდნა, და პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათ გავრცელებას, პუბლიკაციებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე ჩარიცხვა - სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – უნდა შეეძლოს კვლევის დამოუკიდებლად წარმართვა. მიღებული ცოდნის გადაცემა მომავალი მშენებლისათვის, კომუნიკაცია ნებისმიერ დონეზე, როგორც პროფესიულ, ისე ფართო საზოგადოებასთან და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ყველა დაინტერესებული მხარისათვის, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში; კვლევისა და ძიების შედეგად ახალი ცოდნისა და

უნარ-ჩვევების საფუძველზე შეაფასოს, გააკრიტიკოს და დაიცვას მიღებული ცოდნა.

- **დასკვნის გაკეთების უნარი** –უნდა შეეძლოს : ნებისმიერი სამშენებლო ნაგებობის სიმტკიცეზე გაანგარიშების არსებული მეთოდების კრიტიკული გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- **წერთი კომუნიკაბელურობა** – გამართული ქართულით და გრამატიკული წესების დაცვით წერა. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება, აუდიტორიის შესაბამისი პრეზენტაციებისა და წერილობითი ინფორმაციის მომზადების უნარი;
- **ზეპირი კომუნიკაბელურობა** – მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე. კომპლექსური საკითხების ზეპირი ჩამოყალიბებისა და საჯარო გამოსვლების წარმართვის უნარი;
- **სწავლის უნარი** –უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;
- **ღირებულებები** – ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება. პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა;
- **ცოდნა და გაცნობიერება** – მშენებლობის დარგებში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
- **დამოუკიდებლად მუშაობის უნარი** – საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.
- **ანალიზის უნარი** – სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნება, ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა;
- **პრობლემების გადაჭრა და გადაწყვეტილებების მიღება** – მონაცემების ინტერპრეტაციის, მიზნებისა და კრიტერიუმების ჩამოყალიბების უნარი. პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- **დაგეგმვა და ორგანიზება** – დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, შესაბამისი დროითი ჩარჩოების დადგენისა და სამუშაოთა შესრულების გრაფიკების შედგენის უნარი;
- **ექსპერტული ცოდნისა და ტექნოლოგიების გამოყენება** – სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების ეფექტიანად გამოყენების უნარი. საკუთარ სფეროში დეტალური ცოდნისა და პროფესიონალიზმის გამოვლენის უნარი. სამუშაოს შესრულებისას სხვებისათვის სწორი მიმართულებებისა და საქმიანი რჩევების მიცემის უნარი;
- **გუნდური მუშაობა** – გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობისა და ინიციატივის გამოვლენის უნარი. პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

- ლექცია პრაქტიკული სამეცნიერო-თემატური სემინარი დამოუკიდებელი მუშაობა კვლევითი კომპონენტი დისერტაციის გაფორმება დისერტაციის დაცვა

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - არადამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 41-50%, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- (F) - სრულიად არადამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

შეფასების ფორმები:

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი გამოცდა.

შეფასების მეთოდები:

- ტესტირება;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი დავალება;
- ინდივიდუალური პროექტის პრეზენტაცია;
- დაკვირვება.

დასაქმების სფერო

(დოქტორანტურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლების მართვის შესწავლას. მომავალმა დოქტორებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ ასწავლონ დისციპლინა, კვლევა, პტენენტაცია და ა.შ., ამიტომ) დოქტორების დასაქმების ძირითადი სფეროა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების აკადემიურ თანამდებობაზე, დარგობრივ სამინისტროებში, სამთავრობო სტრუქტურებში და პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა სფეროში დასაქმება.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი		სულ, კრედიტები
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
1		უცხოური ენის სპეცკურსი	10	5					15
2		სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსი	10	5					15
3		ლიტერატურის – საინფორმაციო წყაროების მიმოხილვა, აქტუალურობის დასაბუთება, მიზნის და ამოცანების ჩამოყალიბება	10	5					15
4		თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა		15	15	30	15		75
5		თემატური სემინარი №1			15				30
6		თემატური სემინარი №2					15		
7		დისერტაციის დასრულება და დაცვა						30	30
ECTS კრედიტები		სემესტრში	30	30	30	30	30	30	180
		სასწავლო წელს	60		60		60		180

პროგრამის ხელმძღვანელი

ტარიელ კვიციანი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მარინა ჯავახიშვილი

ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებელი

ზურაბ გედენიძე

მიღებულია

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 13.05. 2011 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი

ზურაბ გედენიძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური